06/02/2026

MES 9 26 0000127042

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა:
თამარი აბრამიშვილი - სკოლის დირექტორი
შპს სკოლა- ლიცეუმი ლამპარი:
თამარი მანძულაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა:
ელგა თეთვაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლა:
ქეთევან ტალახაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა:
ზაირა ბოლქვაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს სკოლა- ლიცეუმი ლამპარი:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეთერ მეტრეველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლა:
ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 23 იანვარს ჩატარდა ონლაინ

რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5.სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერს № 89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გეგმური მონიტორინგი ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.
აღნიშნა, რომ სამსახურში არსებული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით და პროცესების ხარისხიანად განხორციელების მიზნით, 2026 წელს, მიზანშეწონილი იქნება მონიტორინგი განხორციელდეს მხოლოდ 50 სკოლაში. საბჭომ, 2025 წელს რიგ სკოლებს (რომლებშიც მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო 2025 წელს), გადაუვადა მონიტორინგი 2026 წელს (ოქმი N471854-02.05.2025). ცენტრის თანამშრომელმა დანართის სახით წარმოადგინა სკოლების ჩამონათვალი, რომლებშიც მონიტორინგი 2026 წელს უნდა განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დანართში შედიოდა ის სკოლებიც, რომლებსაც 2025 წელს გადაუვადდა მონიტორინგი. აქედან გამომდინარე,

- მიზანშეწონილია, 2026 წელს საბჭოს მიერ დანიშნული მონიტორინგებიდან ყველა სკოლაში მონიტორინგი განხორციელდეს 2027 წლის განმავლობაში, გარდა დანართში ასახული 50 სკოლისა. 2026 წელს, ერთ-ერთ სხდომაზე, საბჭოს დამატებით წარედგინება 2027 წელს გადავადებული მონიტორინგების განრიგი.
- ზემოაღნიშნული N471854 ოქმის დანართში ასახულ სკოლებში მონიტორინგი უნდა დაწყებულიყო 2026 წლის იანვარიდან, გამომდინარე იქიდან, რომ იანვრის თვე უკვე იწურება მიზანშეწონილია მონიტორინგის დაწყების პერიოდი ზემოაღნიშნულ 50 სკოლაში 2026 წლის თებერვლიდან განისაზღვროს, დანართის შესაბამისად.

- მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული 50 სკოლასთან მიმართებაში რიგ სკოლებთან შეიცვალოს მონიტორინგის ფორმა კერძოდ, "ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი" შეიცვალოს "ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლით", აღნიშნულის საფუძველი გახლავთ ის, რომ ამ სკოლებთან შესაძლებელია მონიტორინგის განხორციელება ვიზიტის გარეშე, ამით დაიზოგება სკოლებისა და ცენტრის ბიუჯეტი.
- საბჭომ 2025 წლის 16 აპრილის სხდომაზე გაიზიარა ცენტრის შუამდგომლობა, რომ 2025 წელს და 2026 წლის იანვარში საბჭოს მიერ დანიშნული მონიტორინგი არ განხორციელებულიყო მეორე სტანდარტზე (სასკოლო კურიკულუმი), რადგან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი მუშაობდა საგნობრივი სტანდარტების ცვლილებებზე. გამომდინარე იქიდან, რომ საგნობრივ სტანდარტებში ცვლილებები ამ დრომდე არ განხორციელებულა, მიზანშეწონილია 2026 წელს საბჭოს შუამდგომლობით დანიშნულ მონიტორინგებზე მეორე სტანდარტი არ შემოწმდეს.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

1. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1593986 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 150 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 95.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით", ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 4.2 შეფასდა „მეტწილად".
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლას გაცემული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებული ჰქონდა.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემულ დასკვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ შეიმუშავა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის ფარგლებში სკოლა გეგმავდა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრისათვის მიმართვას ორი მოსწავლის აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმების მიზნით, რათა გამოიკვეთილიყო მათი საგანმანათლებლო პროგრესი. მიღებული შედეგები მასწავლებლებს შესაძლებლობას მისცემდა შეემუშავებინათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ან გაეგრძელებინათ მუშაობა რემედიაციის პროგრამის ფარგლებში. რეკომენდაციის შესრულების ვადად სკოლამ განსაზღვრა 2026 წლის 30 იანვარი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, შესრულებული იყო თუ არა ის რეკომენდაციები, რომლებიც სკოლას შესაბამისობის გეგმით გაწერილი ჰქონდა 2026 წლის 30 იანვრისთვის.
სკოლის დირექტორმა, თამარ აბრამიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, რომელშიც დაფიქსირებული იყო რიგი ხარვეზები. მისი თქმით, სკოლამ აღმოფხვრა და გამოასწორა დასკვნაში ასახული ხარვეზები, ხოლო განმეორებითი დასკვნის მოპოვების მიზნით ჰქონდა მიწერილობა პასუხისმგებელ ორგანოსთან. ასევე, სკოლამ მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრს.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, 1-ელ სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებისთვის რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა სკოლა.
სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული იყო 2023 წელს, ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში და მონიტორინგის განხორციელების პერიოდში სკოლას ყველა რეკომენდაცია შესრულებული ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 23 იანვარი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:47
დასრულების დრო: 14:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის (სკ/: 222727985) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 23 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის დეკემბერში წარმოადგინოს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმებისა და მათი პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემდგომ განვითარებას ან რემედიაციის პროგრამის გაგრძელებას. ამასთან, შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, სკოლამ უნდა წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი თქმით, ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა მშობლის საჩივარი, რომელიც მიუთითებდა შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარში დაფიქსირებულ გარკვეულ გარემოებებზე, კერძოდ:
მშობლის განცხადებით, სასწავლო დაწესებულებაში მოხდა ინციდენტი, რომლის შედეგადაც მომჩივანი მშობლის შვილს თანაკლასელმა მიაყენა ფიზიკური დაზიანება, თვალის არეში, ჰერიოკულურ მიდამოში ღია ჭრილობის სახით. მშობელმა აღნიშნული ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მიიღო კლასის დამრიგებლის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარის საშუალებით. ადგილზე მისულ მშობელს მოსწავლე დახვდა დაზიანებით. რამდენიმე წუთში

ადგილზე მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი. სკოლის მიერ გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მოსწავლეს აღმოუჩინა პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს კლინიკაში, სადაც მას ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო კვლევები. სამედიცინო დაწესებულებაში ბავშვს თან ახლდა მშობელი და კლასის დამრიგებელი. ჩატარებული სამედიცინო კვლევების შედეგად მოსწავლეს დაადეს შვიდი ნაკერი, ასევე ჩაუტარდა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია და ოფთალმოლოგის კონსულტაცია. დამატებითი კვლევის საფუძველი იყო ის გარემოება, რომ მოსწავლე ატარებდა სათვალეს ასტიგმატიზმის გამო და არსებობდა ეჭვი, რომ დაზიანების მიღებისას თვალის არეში შესაძლო იყო ნამსხვრევის ჩარჩენა. ამასთან, დაზიანების სიმძიმიდან გამომდინარე - თვალის მიდამოში არსებული დიდი ჰემატომის გამო - თვალის სრული დათვალიერება ვერ მოხერხდა. მშობლის წერილში აღწერილი გარემოების თანახმად, ინციდენტის დღეს სკოლის დირექტორმა არ გამოხატა სათანადო თანაგრძნობა და პოლიციის თანამშრომლების ადგილზე მისვლისთანავე დატოვა კაბინეტი, სადაც იმყოფებოდა ბავშვთან ერთად. მოგვიანებით, იმავე საღამოს, მშობელს დაუკავშირდნენ პოლიციიდან ახსნა-განმარტების მისაცემად, აგრეთვე დაუკავშირდა იმ მოსწავლის მშობელი, რომელმაც დაზიანება მიაყენა მოსწავლეს და შესთავაზა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება, რაზეც დაზარალებულის მშობელმა უარი განაცხადა. დირექტორი მშობელს დაუკავშირდა მხოლოდ საღამოს საათებში, მოუხადა ბოდიში და განმარტა, რომ დაკავებული იყო და აღნიშნული მიზეზით ვერ მოახერხა დროული დაკავშირება. როგორც მომჩივანი მშობელი აღწერდა, ინციდენტმა გამოიწვია სხვა მოსწავლეთა მშობლების შეშფოთებაც. მათი აღნიშნეს, რომ მათი შვილები მომხდარის გამო იმყოფებოდნენ ფსიქოლოგიური შოკის მდგომარეობაში და მშობლები არ აპირებდნენ ბავშვების სკოლაში მიყვანას მანამ, სანამ დაზიანების მიმყენებელი მოსწავლე არ იქნებოდა განრიდებული და სკოლა არ მიიღებდა შესაბამის ზომებს. მშობლის განმარტებით, აღნიშნული საკითხი განხილვის საგნად იქცა მშობელთა და მასწავლებელთა საერთო ონლაინ ჯგუფშიც, სადაც ასევე ფიქსირდებოდა პოზიცია ბავშვების სკოლაში არ მიყვანის შესახებ. დირექტორის დავალებით, ერთ-ერთმა პედაგოგმა ჯგუფში განათავსა შეტყობინება, სადაც იგი მიუთითებდა, რომ მშობლები არ სცემედნენ პატივს სკოლის შინაგანაწესს და თუ პირობები არ მოსწონდათ, შეეძლოთ შვილები სხვა სკოლაში გადაეყვანათ. ამავე წერილში პედაგოგი იცავდა ზიანის მიმყენებელი მოსწავლის ქცევას და მის ამ ქმედებას ბავშვურ ემოციებს მიაწერდა. მშობლის განცხადებით, აღნიშნული მოსწავლე სკოლაში ჩაირიცხა ოქტომბრის თვეში და უკვე აღინიშნებოდა რთული ურთიერთობა თანაკლასელებთან – იყენებდა შეუფერებელ სიტყვებს და აგრესიულად იქცევოდა. მშობლის განცხადებით, კლასის დამრიგებელის ქცევაც ხშირ შემთხვევაში, მისთვის არაკორექტული იყო. მაგალითად მშობელმა მოითხოვა ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დათვალიერება, თუმცა აღნიშნული თხოვნა არ დაუკმაყოფილდა და ასევე, უარი განაცხადა მშობელთა კრების მოწვევაზე. მიუხედავად ამისა, მშობლები თავად გამოცხადდნენ სკოლაში, სადაც მათ მხოლოდ დირექტორი შეხვდათ.

მშობლის განმარტებით, დირექტორი შეხვედრაზე შევიდა უკმაყოფილო ტონით, ყურადღება გაამახვილა დატვირთულ გრაფიკზე და აღნიშნა, რომ მშობლების მიერ გადახდილი თანხა მას ხელფასების დაფარვისთვისაც კი არ ჰყოფნიდა. კლასის დამრიგებელი შეხვედრას არ დასწრებია. დირექტორის განმარტებით, ერთ-ერთი მშობლის მიმართ არსებული უკმაყოფილების გამო, რომელმაც დამრიგებელს “ბუტაფორია” უწოდა. მშობელი აღნიშნავდა, რომ დირექტორი ახორციელებდა ერთპიროვნულ მმართველობას, არ გამოხატავდა მშობლებთან თანამშრომლობის მზადყოფნას, არ იჩენდა სათანადო ემპათიას დაზარალებული ბავშვის მიმართ და არ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის საჭირო ეფექტურ რეაგირებას. მშობლის განმარტებით, არც პოლიციის მხრიდან განხორციელებულა რეალური საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც დაზარალებული მხარე დარჩა დაუცველი როგორც სამართლებრივ, ისე მორალურ ასპექტში.

აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მშობელს მომხადარი ფაქტის შემდგომ თავისი შვილი სკოლაში აღარ უტარებია და არც სხვა სკოლაში გადაუყვანია.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მშობლის განცხადებაში იყო გარკვეული უზუსტობები, რაც თავად მშობელმაც დაადასტურა, სკოლაში ვიზიტის პერიოდში, მასთან სატელეფონო გასაუბრების დროს. კერძოდ, დადასტურდა, რომ ბავშვის სათვალე არ გატეხილა, რაც თავისთავად ვერ გამოიწვევდა თვალის არეში ნამსხვრევების არსებობას და შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით კვლევის ჩატარების აუცილებლობა არ იყო.
ექსპერტის თქმით, სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- კლასის მშობლებმა აღნიშნეს, რომ ინციდენტმა თავდაპირველად გამოიწვია მათი შეშფოთება, თუმცა შემდგომ გაანალიზეს, რომ შემთხვევა არ იყო მიზანმიმართული, არამედ წარმოადგენდა ასაკობრივი ემოციის გამოხატულებას. შესაბამისად, ისინი ვერ დაუშვებდნენ იმას, რომ მოეთხოვათ ინციდენტში მონაწილე მოსწავლის სკოლიდან გაშვება, რომელიც თავადაც ძალიან დაითრგუნა ამ ინციდენტის შემდეგ;
- მშობლების ნაწილი მიუთითებდა, რომ მომჩივანი მშობელი ცდილობდა მათზე ზეწოლას და ვერ ხსნიდნენ მისი მოთხოვნების არსს;
- მშობლებმა დადებითად შეაფასეს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების დამოკიდებულება, მათ შორის ბავშვებისადმი მზრუნველობა, განათლების ხარისხი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- რაც შეეხება იმ საკითხს, რომელზეც მომჩივანი მშობელი განცხადებაში აღნიშნავდა, რომ დირექტორმა არ მოინდომა მათთან შეხვედრა, მშობლებმა უარყვეს და აღნიშნეს, რომ დირექტორმა მყისიერად ვერ მიიღო ისინი და განსაზღვრული დრო დანიშნა შესახვედრად;
- მშობლები აღნიშნავდნენ, რომ არ განიხილავდნენ საკუთარი შვილების გადაყვანას სხვა სკოლაში. მათ ისიც კი აღნიშნეს, რომ მხოლოდ მათი შვილი რომ დარჩეს ამ კლასში, მაინც არ გადაიყვანენ სკოლიდან. ამის საფუძველს აძლევდათ ის, რომ მათი უფროსკლასელი შვილები, თუ ახლობლები, რომლებმაც ეს სკოლა დაამთავრეს, არიან ძალიან წარმატებულები, არ დასჭირვებიათ დამატებით რეპეტიტორებთან მომზადება და შეიძინეს ის უნარები, რომლებიც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ.

ექსპერტის თქმით, მშობელმა, რომლის შვილმაც ზიანი მიაყენა თანაკლასელს, აღნიშნა, რომ მომხდარი ფაქტს არ ამართლებდა. მისივე განმარტებით, იგი მყისიერად დაუკავშირდა დაზარალებული მოსწავლის მშობელს, გამოხატა თანაგრძნობა და შესთავაზა როგორც ფინანსური, ასევე სამედიცინო დახმარება, რამდენადაც თავადაც ამ სფეროს წარმომადგენელი იყო, მაგრამ მან უარი მიიღო და შემდეგშიც მის სატელეფონო ზარებს დაზარალებულის მშობელი არ პასუხობდა. მშობელი აღიარებდა, რომ მისი შვილის ქცევა დაუშვებელი იყო და პირადად ძალიან შეწუხებული იყო მომხდარის გამო. მისი მონაყოლით ირკვეოდა, რომ ბავშვიც ძალიან განიცდიდა ინციდენტს, თავს უხერხულად გრძნობდა და სცხვენოდა თანაკლასელებისა და მასწავლებლების. მშობელი ხაზს უსვამდა, რომ არ ცდილობდა საკუთარი შვილის გამართლებას, პირიქით, მიზნად დაისახა შვილის ფსიქოლოგიური შეფასების უზრუნველყოფა და მიმართა შესაბამის სპეციალისტს, რათა მოხდეს მომხდარის გამო მისი შვილის ქცევის მართვა და დაიცვას ბავშვის ემოციური უსაფრთხოება. მშობლის მონაყოლით, ირკვეოდა, რომ მისმა შვილმა არაერთხელ გამოხატა თანაკლასელის მონახულების სურვილი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ინციდენტს წინ უძღოდა სიტყვიერი და ფიზიკური კონფლიქტი, რომელშიც ორივე მოსწავლე იყო ჩართული. მოსწავლეთა განმარტებით, სწორედ ამ დაძაბულობას მოჰყვა შემდგომში განვითარებული ინციდენტი.

კლასის დამრიგებლის განმარტებით, კლასში მიმდინარეობდა რეგულარული აღმზრდელობითი სამუშაო. ინციდენტის დღეს იგი დროებით იმყოფებოდა სკოლის გარეთ, თუმცა გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ზარის დარეკვიდან მალევე დაბრუნდა და მოხდენილი ფაქტის მოწმე გახდა. მისივე განმარტებით, სკოლის მიერ სასწრაფო დახმარების გამოძახება და მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა დაუყოვნებლივ. იმ გარემოებაზე, რომ იგი აღარ შევიდა შეხვედრაზე მშობლებთან სასაუბროდ, მისივე თქმით, გამოიწვია მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის უხეშმა საქციელმა, რომელმაც მას „ბუტაფორია“ უწოდა.

დირექტორის განმარტებით, პოლიციის მოსვლამდე იგი იმყოფებოდა დაზარალებულ მოსწავლესთან, შემდეგ კი გადავიდა კაბინეტში სამართალდამცავებთან თანამშრომლობისა და მათთვის ვიდეოჩანაწერის მიწოდების მიზნით. მისივე თქმით, ჩანაწერში დაზიანების მიყენების მყარი ვიზუალური მასალა არ ფიქსირდებოდა, ვინაიდან კორიდორში იმ მომენტში (შესვენების დროს) ერთდროულად ბევრი მოსწავლე იმყოფებოდა. მისივე განმარტებით, ის მუდმივად ცდილობდა დაზარალებულის მშობელთან დაკავშირებას, მაგრამ ის კონტაქტზე არ გამოდიოდა. რაც შეეხებოდა მოთხოვნას, მოსწავლის სკოლიდან განრიდების თაობაზე, იგი არ ეთანხმებოდა და მიზანშეწონილად არ მიაჩნდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფსიქოლოგი და რა ინტერვენციული ღონისძიებები გაატარა დაწესებულებამ.

სკოლის დირექტორმა, თამარ მანძულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ფუნქციონირების განმავლობაში მსგავსი ინციდენტი არ ჰქონია. მისი თქმით, სკოლას არ ჰყავდა ფსიქოლოგი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ და მოიწვევდნენ. ფსიქოლოგი მოიწვიეს ინციდენტის მოხდენიდან მალევე, რომელმაც ჩაატარა შეხვედრები როგორც კლასში, ასევე ინდივიდუალურად. მისი თქმით, მოსწავლეს უმალ ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება, აქვე, აღნიშნა, რომ დაზიანდა მოსწავლის სათვალის ჩარჩო, რომელმაც გამოიწვია წარბის დაზიანება. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მოსწავლე სკოლაში არ დადიოდა. მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლას უნდა მიემართა შესაბამისი ღონისძიებებისთვის, ვინაიდან მოსწავლეს ჰქონდა 45 დღიანი გაცდენა და დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ.

სკოლის დირექტორმა, თამარ მანძულაშვილმა, აღნიშნა, რომ მშობელს დაუკავშირდნენ ყველა საკომუნიკაციო არხით, ასევე შესთავაზეს შინ სწავლების მომსახურებაც, თუმცა სკოლამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მისი თქმით, სკოლამ მიმართა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს. აქვე, დასძინა, რომ 45 დღის გასვლის შემდგომ, მოსწავლეს შეუჩერდა სტატუსი და აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამისი სამსახური. აქვე, დირექტორმა აღნიშნა, რომ განზრახ ფიზიკური დაპირისპირება არ ყოფილა, ინციდენტი მოხდა შესვენების დროს, როდესაც ბავშვები დარბოდნენ და თანაკლასელი შემთხვევით დაეჯახა დაზარალებულ მოსწავლეს.

საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, 45 დღიანი ვადის გასვლის თარიღი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, 45 დღე გავიდა 2026 წლის იანვრის თვეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ქეთევან ბოტკოველს, შეეფასებინა რამდენად ჯანსაღი გარემო იყო დაწესებულებაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორია იყო სრულად დაცული. მისი თქმით, სკოლის შენობა არ იყო დიდი, ყველა ერთმანეთს იცნობდა და შექმნილი იყო ოჯახური გარემო.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, რამდენი ხანი სწავლობდნენ აღნიშნული მოსწავლეები სკოლაში.
სკოლის დირექტორის თქმით აღნიშნული მოსწავლეები სკოლაში იყვნენ ახალი გადასულები.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას დაგეგმილი ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეების ადაპტაციას. ასევე, სადაც ინციდენტი მოხდა, იყო თუ არა დამონტაჟებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ყოველთვის ჰქონდა მსგავსი აქტივობები გაწერილი და განხორციელებული, თუმცა, მომხდარი ფაქტის შემდგომ გადახედეს და დახვეწეს მიდგომები. ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სრულად კონტროლდებოდა სკოლის პერიმეტრი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15: 43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 23 იანვარი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა - ლიცეუმ ლამპარის (ს/კ: 208148930) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 23 იანვარი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის მაისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა).

3. სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ავტორიზაციის პროცესში იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 ნოემბერს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის N1650744 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 60 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 33.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5, 3.6 და 4.1 შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ მოიპოვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, სკოლის ეზო შემოიღობა და დასაქმდა ექიმი.

სკოლის მიერ არ იყო შესრულებული ხელოვნურსაფარიანი გარე სპორტული მოედნისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები.

აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, თუმცა არგუმენტირებული პოზიციათან ერთად წარმოადგინა იგი.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მე-4 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა განხორციელდებოდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 23 იანვარი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 15:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლის (სკ/: 223364204) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 23 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის თებერვალში დასაქმებული თანამშრომლების შერჩევისა და დასაქმების პროცედურის გაწერის, დასაქმებულთა პირად საქმეებში სავალდებულო ცნობების წარმოდგენის, პერსონალის შესახებ მონაცემების მოპოვებისა და პრიორიტეტების გამოყოფის, პერსონალის მხარდაჭერის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების, სამედიცინო კაბინეტისთვის სივრცის მოწყობის, საქმისწარმოების არსებული პრაქტიკის საქმისწარმოების წესთან შესაბამისობაში მოყვანის, ვებ-გვერდზე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმებისა და ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნების, ასევე, 2026 წლის მაისში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სკოლის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის და ამოქმედების, 2026 წლის ოქტომბერში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის სრულად გამართვის, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმის ამოქმედების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, რესურსოთახისთვის სივრცის გამოყოფის, სკოლის

ორგანოგრამაში მოსწავლეთა თვითმმართველობის დამატებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 01 და 02 დეკემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის N1598551 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 700 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 637.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ვინაიდან 3.1 და 3.4 კომპონენტები შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, შემუშავებული იყო თანამშრომლობითი და პროფესიული ზრდის ხელისშემწყობი მექანიზმები, მოსწავლეთა მხარდამჭერი სისტემა და ა.შ.
ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია, გარდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვებისა და შენობის მე-2 და მე-3 სართულების ადაპტირების უზრუნველყოფისა.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა გეგმა ჰქონდა სკოლას ექიმის დასაქმებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ექიმი, რომელსაც ჰქონდა პედიატრის დიპლომი. იგი ახორციელებდა საქმიანობას დადგენილი წესის შესაბამისად და გეგმავდა დარეგისტრირებას სასერტიფიკატო გამოცდაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 23 იანვარი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:08
დასრულების დრო: 16:11

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის (სკ/: 233137717) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 23 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის დეკემბერში კანონმდებლობის შესაბამისად ექიმის დამოუკიდებელი საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის, ხოლო შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის და ადაპტირებული გარემოს მოწყობის მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 27 და 28 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 ნოემბრის N1608641 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 200 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 92.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა მდებარეობდა სოფელში, რომელიც დაარსდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში და დასახლდა აჭარის ეკომიგრანტებით. მისი თქმით, თემი იყო იზოლირებული სხვა დასახლებული პუნქტებისგან და სკოლა ხშირად ერთადერთ სივრცეს წარმოადგენდა, სადაც ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს ჰქონდათ კომუნიკაციის საშუალება ერთმანეთთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით, 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 შეფასდა „მეტწილად“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა რეკომენდაციების ნაწილი, ხოლო, სკოლას არ ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი ცნობები (უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის, სქესობრივ თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის), შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შემოსული/გასული დოკუმენტების, ბრძანებების და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რამ გამოიწვია, რომ ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციების ნაწილი კვლავ არ იყო შესრულებული.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, აღნიშნა, რომ 2023 წელს, ავტორიზაციის პროცესის დროს, სკოლას ჰყავდა სხვა დირექტორი. მისი თქმით, დირექტორის ცვლილებას, წინა

დირექტორის მხრიდან მოყვა კონფლიქტი, რის შედეგადაც გარკვეული პროცედურები ახალი დირექტორისთვის გართულდა. ასევე აღნიშნა, რომ ახალ დირექტორს არ მიუწვდებოდა ხელი იმ დოკუმენტებზე, რომელიც საჭირო იყო რეკომენდაციების შესრულებისთვის.
სკოლის დირექტორის, ზაირა ბოლქვაძის განმარტებით, ექსპერტების მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 23 იანვარი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის (სკ/: 244556583) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 23 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის თებერვალში პერსონალის კანონმდებლობით დადგენილი ცნობების (უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის, სქესობრივ თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის) ლიფტის ასამოქმედებლდ სამუშაოების გაწევის, საქმისწარმოების წესის შემუშავების, რომელიც თანხვედრაში იქნება სკოლაში მოქმედ საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასთან, 2026 წლის სექტემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამართვის და შესრულებისა და შესაბამისი

მტკიცებულებების მოპოვებისთანავე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე